community

The New Apostolic Church around the world

04/2020/GE

2020 წლის ორმოცდაათობა
თავისუფლების სული

რედაქციისგან
ღვთისადმი ერთგულება

ღვთისმსახურება
ვაღიაროთ და გვიყვარდეს

საეკლესიო მოძღვრება
ღვთიური მოწოდება
ეკლესია, სადაც ადამიანები
კარგად გრძნობენ თავს

New Apostolic Church
International

ღვთისადმი ერთგულება მასთან თანაზიარებამდე მიგვიყვანს

ფოტო: საერთაშორისო ახსე

ჩემო საყვარელო ერთმორწმუნე და-ძმანო,

„სარწმუნოა ღმერთი, რომლისგანაც იქენით მოწოდებულნი მის ძესთან, უფალ იესო ქრისტესთან თანაზიარებისათვის“ (1. კორ. 1, 9). როცა ამ ბიბლიურ ციტატას ვკითხულობ, თქვენზე ვფიქრობ. თვითეული ჩვენთაგანი საკუთარი ცხოვრებით ცხოვრობს, ამ ცხოვრებაში კი აღმასვლებიც არის და დაღმასვლებიც, ზოგჯერ შიშით აღსავსე, მაგრამ შემდეგ კვლავ სიხარულნარევი. ჩვენ სანუგეშოდ ის გვაქვს, რომ ღმერთი ერთგულია! ის იმას აკეთებს, რასაც ამბობს. ჩვენ, ადამიანები, ალბათ ყოველთვის ვერ ვგრძნობთ ამას, მით უმეტეს, რომ ხსნის ღვთიური გეგმის მხოლოდ იმ უმცირეს მონაკვეთს ვიცნობთ, რომელიც ჩვენთვის აქვს მას მომზადებული.

ღმერთია ის, ვინც მის ძესთან, იესო ქრისტესთან თანაზიარებისკენ მოგვიწოდა. ის მოგვიწოდებს, ის გვირჩევს - და არა პირიქით. ის თვითეულ ადამიანს გაცილებით უკეთ იცნობს, ვიდრე თვითონ ადამიანი იცნობს თავის თავს, და ყველაფერი იცის. და ის ყველას თავისუფალ არჩევანს უტოვებს: გაჰყვეს მას თუ არა.

ღმერთი ჩვენს უფალ იესო ქრისტესთან საუკუნო თანაზიარებისკენ მოგვიწოდებს. ეს თავად იესომ დაადასტურა: მას სურს, ჩვენც იქ ვიყოთ, სადაც ის არის. ჩვენ უკვე აქ და ახლა ღვთის ძესთან სასიცოცხლო თანაზიარებაში ვიმყოფებით. რა მდგომარეობაშიც არ უნდა ვიყოთ ცხოვრებაში, ჩვენ მაინც მასთან ერთად ვართ:

- როცა ვიტანჯებით, მაინც იმისათვის ვიბრძვით, რომ ღმერთთან თანაზიარებაში დავრჩეთ;
- ვაკეთებთ რა სიკეთეს, ამით ხელს ვუწყობთ იესოს მისი მისიის შესრულებაში და ვიუწყებით სახარებას;
- არასოდეს ვივწყებთ ამ მისიას, პირიქით, ის ჩვენთვის უმაღლესი პრიორიტეტია.

ღმერთი მორწმუნეთა თანაზიარებისკენ მოგვიწოდებს - ეკლესიაში

- მოდით, ერთად ვიყოთ და ერთად ვაკეთოთ საქმენი, ერთად ვილოცოთ, ერთად ვიზეიმოთ, ერთად ვიმუშაოთ.
- მოდით, გავამყაროთ ეს ერთობა და ვებრძოლოთ განხეთქილებებს: თავი ავარიდოთ ჭორებს, მოვეშვათ წარსულს და ვილაპარაკოთ მხოლოდ კარგი და არა ცუდი.
- ვემსახუროთ ერთმანეთს და არ განვასხვაოთ ერთურთისგან კლიენტი და მომწოდებელი: ერთობის კეთილდღეობაში თავისი წვლილის შეტანა ყველას შეუძლია.

და ბოლოს, ღმერთი წმიდა ზიარებაში ერთობისკენ მოგვიწოდებს:

- ეს ერთობა კრავის ქორწილით წინასწარ ტკბობაა;
- იგი გვახსენებს, რომ იესო ქრისტე ყველაფერს ადამიანებთან ერთად იზიარებდა, ტანჯვასაც და სიკვდილსაც;
- ის გვაძლევს ძალას, ვიბრძოლოთ ისე, როგორც იესო იბრძოდა;
- ის არის ძმური თანაზიარების განმამტკიცებელი. ყველასათვის ერთი პური და ერთი ღვინოა, ასევე ერთი წმიდა ზიარება. რას ვიზამდით ერთობის გარეშე?

მადლობა, უფალო, რომ მომეცი შესაძლებლობა, ამ ერთობის ნაწილი ვიყო.

გულითადი მოკითხვებით

ჟან-ლუკ შნაიდერი

ფოტოები: მარსელ ფელდე

ეს ღვთისმსახურება, რომელიც დარმშტატის (გერმანია) ეკლესიაში ჩატარდა, იუთუბის, IPTV-სა და ტელეფონის მეშვეობით მთელ მსოფლიოში გადაიცა.

ვაღიაროთ და გვიყვარდეს

2. კორ. 3, 17

„ხოლო უფალი სულია
და სადაც უფლის სულია,
იქ თავისუფლებაა.“

ჩემო საყვარელო ძმებო და დებო, ორმოცდაათობის (სამების) ასე აღნიშვნა, მართლაც, რომ უჩვეულოა. ჩვეულებისამებრ, ახლა უნდა შევკრებილიყავით და სულიწმიდის მოფენა გვეზეიმა; ამ დღეს ქრისტეს ეკლესიის დაბადების დღესაც ვუწოდებთ. ერთად უნდა ველოცა და გვეგალობა, თაყვანი გვეცა ღვთისათვის, და როგორც მიჩვეულები ვართ, მამაზეციერისგან განსაკუთრებული კურთხევა მიგვეღო. ჩვენ იმით ვართ კურთხეულნი, რომ, როგორც ერთობას, ერთად შეკრება, ღვთის სიტყვის მიღება, წმიდა ზიარების მიღება (ასევე განსვენებულთათვის) შეგვიძლია. ახლა კი შეცვალა ღმერთმა ჩვენი გეგმები და ჩვენ ველარ ვიკრიბებით, ველარც წმიდა ზიარებას ვზეიმობთ (განსვენებულთათვისაც), და არც არანაირი ახსნა განმარტება არ გვაქვს ამასთან დაკავშირებით - ყოველ შემთხვევაში მე არ მაქვს. ერთადერთი, რისი

გაკეთებაც შეგვიძლია, არის ის, რომ თავმდაბლად მივენდოთ ღვთის ხელს. მოდით, ამ მიზნით ქანაანელი ქალი გავიხსენოთ, რომელმაც იესოს მისი ასულის განკურნება სთხოვა. იესომ უარი უთხრა მას, ვინაიდან წარმართი იყო იგი. მაშინ ქალმა მიუგო: თუ პურს არ მომცემ, ნამცეცებითაც დავკმაყოფილდებიო. როცა იესომ მისი რწმენა დაინახა, ქალმა მიიღო ის, რაც მისგან ითხოვა (შევ. მათ. 15, 21).

ამწუთებშიკურთხევისსრულმენიუსვერმივიღებთ. რაღაც მიზეზის გამო ღმერთმა გადაწყვიტა, რომ მხოლოდ პურის ნამცეცები მოეცა ჩვენთვის. მაგრამ ჩვენ ვენდობით მამაზეციერს და ვამბობთ: „ვიღებთ რა პურის ნამცეცებს, იმითაც კურთხეულები ვართ, რომ თუნდაც ეს პურის ნამცეცები გვაქვს“. რა თქმა უნდა, ვნატრობთ, რომ სრული მენიუ მივიღოთ, და ვლოცულობთ იმისათვის, რომ რაც შეიძლება მალე დავიბრუნოთ იგი. უკვე ვთქვი: ღმერთმა შეცვალა ჩვენი გეგმები-მეთქი; ბევრისათვის, ბევრი ძმისა და დისათვის, ეს ნამდვილად ასეა. ვიღაცას საყვარელი ადამიანი მოუკვდა, ვიღაცამ დიდი ფული ან შემოსავლის წყარო დაკარგა. ბევრ რეგიონში ხალხს არანაირი შემოსავალი არა აქვს. ღმერთმა ჩვენ შეგვიცვალა გეგმები, თორემ თავისი გეგმა კი არ შეუცვლია. მას მისი ხალხის თავის სასუფეველში შეყვანა სურს. ღმერთს უნდა, რომ გვანუგეშოს, გაგვაძლიეროს და გვაკურთხოს, და გააკეთებს კიდეც ამას. სულიწმიდა გვახსენებს: „შენ ღვთის შვილი ხარ და შენი ზეციერი მამა არ დაგივიწყებს შენ!“

ახლა კი, მოდით, ორმოცდაათობა ვიზეიმოთ და შესავლისათვის ბიბლიიდან ამონარიდები წავიკითხოთ (ბიბლიის კითხვა: საქმე 2, 1-4. 12-21). დიახ, პირველი ორმოცდაათობა ხსნის ღვთიური გეგმის პირველი და გადამწყვეტი ნაბიჯი იყო. მამამ და ძემ სულიწმიდა მოავლინეს ამქვეყნად, როგორც მანამდე მამამ მოავლინა ძე. რა თქმა უნდა, ძე და სულიწმიდა ყოველთვის ერთნი იყვნენ მამასთან, დედამიწაზე, და საერთოდ ყველგან, ერთად აკეთებდნენ საქმეს. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ მამა-ღმერთმა ღვთის ძე კონკრეტული დავალებით მოავლინა: ძე განკაცდა, რამეთუ ღვთის ნება ეუწყებინა. მან თქვა: „ჩემი მოძღვრება ჩემი არაა, არამედ გეტყვით, თუ რა არის ღვთის მოძღვრება“ (შევ. იოან. 7, 16).

ღვთის ძის მეორე დავალება ადამიანთა შეკრება და მათი ღვთის სასუფეველში მიყვანა იყო.

მესამე დავალება კი მის მიერ მსხვერპლის გაღებაში მდგომარეობდა, რათა ადამიანებისათვის ღმერთთან მისვლის შესაძლებლობა მიეცა. როგორც კი შეასრულა მან მისი ეს დავალება, მაშინვე მამასთან დაბრუნდა. მერე კი ღმერთმა სული მოავლინა ამქვეყნად - ასევე განსაკუთრებული დავალებით:

სულიწმიდის დავალებაა, იუწყოს ღვთის ნება. ერთხელ იესომ მოწაფეებს უთხრა: კიდევ ბევრი მაქვს თქვენთვის სათქმელი, მაგრამ მოვა სული და ის შეგიყვანთ ჭეშმარიტებაშიო (შევ. იოან. 16, 12. 13).

სულიწმიდის მეორე დავალება ღვთის ხალხის შეკრებაა. სულიწმიდის ძალით ღვთის ხალხი ქრისტეს სხეულის ნაწილი გახდა.

სულიწმიდა ადამიანებზე და ადამიანების მეშვეობით მოქმედებს.

მესამე ამოცანა კი ქრისტეს სასძლოს მომზადებაში მდგომარეობს. სულიწმიდას ჩვენში ახალი ქმნილების ჩამოყალიბება სურს იმ მიზნით, რომ არსობრივად სულ უფრო მეტად დავემსგავსოთ იესოს ხატებას, რამეთუ ღვთის სასუფეველში შესვლა შევძლოთ.

სულიწმიდა მოქმედებს როგორც ძალა და იგი უხილავია. ის მოქმედებს ადამიანებზე და ადამიანების მეშვეობით. ამ სამი დავალების შესასრულებლად მას ადამიანები სჭირდება. ამიტომაც უხმობს სულიწმიდა მათ, შედის მათში, განწმედს მათ და იმის უნარს აძლევს, რომ ინსტრუმენტები იყვნენ ღვთის ხელში, რამეთუ ღვთიური გეგმა სისრულეში მოვიდეს. ყოველივე ეს ორმოცდაათობაზე გაცხადდა. მათ, ვინც სულიწმიდით აღივსნენ, წინასწარმეტყველება დაიწყეს. ისინი უშიშრად აცხადებდნენ ღვთის ნებას. ორმოცდაათობაზე ქადაგებაში პეტრემ იუდეველებს უთხრა: „ეს არის იესო, რომელიც არ გინდოდათ, რომელიც ჯვარს აცვით, ღმერთმა კი იგი უფლად და მესიად მოგივლინათ.“ ნაწინასწარმეტყველევი იყო, რომ იესო ღვთის ძეა, ხოლო ღმერთი - მისი მამა. ამდენად, სულიწმიდამ პეტრესა და სხვებსაც მისცა უნარი, რომ უშიშრად ეუწყათ ღვთის ნება (შევ. საქმე 2, 22-36).

მოგვიანებით იგივე განმეორდა სტეფანეს შემთხვევაშიც, რომელიც რწმენის გამო მოკვდა (შევ. საქმე 7, 1). იგივე შეემთხვა ფილიპეს, რომელმაც ეთიოპიელ ელჩს ღვთის ნება ამცნო. შემდგომში ფილიპეს ოთხივე ქალიშვილი წინასწარმეტყველი გახდა (შევ. საქმე8, 29; 21, 8. 9).

დღეს ჩვენ ვართ ის რჩეულები, რომლებმაც სულიწმიდის მეშვეობით ღვთის ნება უნდა იუწყონ. თუ სულიწმიდას ჩვენში შემოსვლის უფლებას მივცემთ, იგი მოგვცემს საშუალებას, ნებისმიერ სიტუაციაში გავაკეთოთ ეს. დღესაც ბევრი უარყოფს იესოს. ისინი ამბობენ, რომ ქრისტეს მოძღვრება აღარ მიესადაგება ჩვენს დროს, სხვები კი იესოს მოძღვრების საკუთარ თავზე მორგებას ცდილობენ. როცა იესოზე ფიქრობენ, ფიქრობენ ვიღაცაზე, რომელმაც უბრალოდ სასწაულები მოახდინა და ამის შესაბამისადაც აქებენ და ადიდებენ მას. სხვებმა კი სახარება ისე შეცვალეს, რომ თავიანთი საქმეები აკეთონ წარამტებულად. ჩვენ კი ჭეშმარიტი სახარების გასავრცელებლად მიგვავლინეს, ისეთის, როგორსაც მას მოციქულები იუწყებოდნენ. ჭეშმარიტი სახარება დღესაც დროის შესაფერისია და ნებისმიერ სიტუაციაში შეიძლება მისი გამოყენება.

ბევრი ფიქრობს, რომ კორონათი გამოწვეული კრიზისის შედეგად ცვლილებები მოხდება, გვექნება კორონას წინა და შემდგომი ეპოქა: კიდევ ერთხელ უნდა დავფიქრდეთ იმაზე, თუ როგორ მოვაწყოთ საზოგადოება და როგორ წარვმართოთ ეკონომიკა; კიდევ ერთხელ უნდა დავფიქრდეთ იმაზე, თუ როგორ გამოვიყენოთ ბუნებრივი რესურსები; კიდევ ერთხელ უნდა დავფიქრდეთ ჩვენს საკუთარ ცხოვრებაზე, ვინაიდან ვეღარ გავაგრძელებთ ეგოიზმის გზაზე სიარულს, ეს უკვე ჩიხი იქნება.

არ ვიცი, მართლა მოხდება თუ არა ცვლილებები, მაგრამ იმედი მაქვს, რომ ეს ასე იქნება, და ისიც ვიცი, რომ ადამიანები ადამიანებად დარჩებიან. და მაინც, მოდით, ასეთ დროსაც შევასრულოთ ჩვენი დავალება, სულიწმიდით შთაგონებულებმა ვიუწყოთ იესოს სახარება სიტყვითა და საქმით. იესოს მოძღვრება ჯერ კიდევ ძალაშია: მთაზე ქადაგება ძალაშია, ოქროს წესი ჯერ კიდევ ძალაშია. ჩვენ ამის შესატყვისად უნდა მოვიქცეთ. მოდით, განვაცხადოთ, რომ სულიერი სიმდიდრე ბევრად უფრო ძვირფასია, ვიდრე მატერიალური. ბუნებრივია, იმაზეც გვინდა ვიზრუნოთ, რომ ჩვენი შვილები კარგად იყვნენ, რომ საკმარისი საჭმელი ჰქონდეთ, განათლება მიიღონ, ეს ნორმალურია. მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ ყველაზე დიდი საჩუქარი, რაც ჩვენს შვილებს შეიძლება გავუკეთოთ, მათთვის იმის თქმაა, რომ წყლისა და სულისგან ხელახლა შობის წყალობით იესო ქრისტე ცოცხლობს მათში. საუკეთესო გზა იმისა, რომ ვაჩვენოთ ჩვენს შვილებს, თუ როგორ გვიყვარს ისინი, მათი იესო ქრისტესთან ახლოს მიყვანაა.

მოდით, ისიც კარგად გავაცნობიეროთ, რომ დედამიწის რესურსებს უფრო მეტად უნდა

სულიწმიდა იმის შესაძლებლობას გვაძლევს, რომ უკანა პლანზე გადავწიოთ საკუთარი ინტერესები და საერთო კეთილდღეობას ვემსახუროთ.



მოვუფრთხილდეთ. ესეც ღვთისა და მოყვასისადმი ჩვენი სიყვარულის გამოხატულება იქნება. ზოგჯერ ჩვენი და-ძმანი მეუბნებიან: „პირველმოციქულო, კარგი, მაგრამ ჩვენ ხომ აქ დარჩენა არ გვინდა, არამედ ზეცაში მოხვედრა გვსურს. ამ დროს დედამიწაზე ზრუნვაც მნიშვნელობას კარგავს, უმჯობესი არ იქნება, რომ უფრო მეტად სულზე ვიზრუნოთ, ჩვენ ხომ ზეცაში გვინდა?!“ ჩემი პასუხი ასეთია: მეც მინდა ზეცაში. მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ ადამიანები ჩვენს შემდეგაც იცხოვრებენ ამქვეყნად, ვიდრე უკანასკნელი სამსჯავრო არ დადგება. უკანასკნელი სამსჯავროს დადგომამდე კი ისინი არიან პასუხისმგებელნი დედამიწის მიმართ. სხვათა შორის, იმის იმედიც გვაქვს, რომ სამეუფო სამღვდელოების ნაწილი გავხდებით და იესო ქრისტესთან ერთად დავბრუნდებით დედამიწაზე, რათა უფალ იესოს მხარდამხარ სახარება ვიუწყოთ. ხედავთ? თავად ახალსამოციქულო თვალსაზრისითაც კი აქვს აზრი იმაზე დაფიქრებას, თუ როგორ ვექცევით დედამიწას.

ეს არის ის გზა, თუ როგორ უნდა შევასრულოთ ღვთის ძისა და სულიწმიდის პირველი დავალება: უშიშრად და თამამად ვიუწყოთ, რომ მთაზე ქადაგება და ოქროს წესი ჯერ კიდევ ძალაშია. მოდით, ისიც კარგად გავაცნობიეროთ, რომ სულიერი სიმდიდრე ბევრად, გაცილებით მეტად ღირებულია, ვიდრე მატერიალური. მოდით, დავრწმუნდეთ, რომ იესო ქრისტე ჩვენი შვილების გულებში ცოცხლობს, და ვიზრუნოთ დედამიწაზე, რომელზედაც ვცხოვრობთ.

იესოსა და სულიწმიდის მეორე დავალება ხალხის შეკრებაში მდგომარეობდა. იესოს მაღალი

სტანდარტები ჰქონდა. მან თქვა: „მინდა, რომ ხალხი და მე ერთნი ვიყოთ ისევე, როგორც მე და მამა ვართ ერთნი.“ იესოს უნდა, რომ ქრისტეს ეკლესია ერთობის ხატება გახდეს, როგორც ეს სამერთ ღმერთს აქვს განსაზღვრული. ღმერთი: მამა, ძე და სულიწმიდა სამი განსხვავებული ღვთიური „პირია“, მაგრამ სრულიად ერთი. ჩვენ, წყლითა და სულით მონათლულები, ამ ერთობის განმასახიერებელნი უნდა ვიყოთ. რა თქმა უნდა, უძლურ ცოდვილებად ვრჩებით და ჩვენი ერთობაც არასოდეს იქნება ისეთი სრულყოფილი, როგორც ღვთისა: მამისა, ძისა და სულიწმიდასი. მაგრამ სულიწმიდის ძალის მეშვეობით შეგვიძლია გავაგრძელოთ მასზე მუშაობა და ერთობა ვეძიოთ. გავიხსენოთ პირველი ქრისტიანები. თავიდან ქრისტიანები მხოლოდ იუდეველები იყვნენ, შემდეგ წარმართები დაემატათ. მე მგონი, მცირედი წარმოდგენაც კი არ გვაქვს იმაზე, თუ რამხელა უფსკრული არსებობდა იმჟამად იუდეველებსა და წარმართებს შორის, რომაელებსა და ბერძნებს შორის. იუდეველები საუკუნეების განმავლობაში ატარებდნენ თავიანთ კულტურასა და რელიგიას, ყველა სხვა დანარჩენი კი ისეთი სხვანაირი იყო და თან ნებისმიერი კუთხით. იესომ უთხრა მათ: „ახლა ერთნი ხართ.“ ვფიქრობ, ეს განსხვავება იმაზე ნაკლები არ იყო, როგორიც დღეს არის. დღეს გვაქვს განსხვავებები, რომლებიც სოციალურ სტატუსს ეფუძნებიან, ასაკი და სქესია განსხვავებული, სექსუალური ორიენტაციაა სხვანაირი. ჩვენთვის ეს უზარმაზარი განსხვავებებია. მაგრამ არ ვარ დარწმუნებული, რომ ეს სხვაობა უფრო დიდია, ვიდრე იმჟამად მორწმუნე იუდეველსა და წარმართს შორის იყო. მოდით, გავიხსენოთ იესო, რომელმაც სავლეს დაანახა, რომ ის, როგორც იუდეველი, მისი მტერია და სდევნის მას (შევ. საქმე 9, 3-5. 15). სულიწმიდის ძალით ადამიანებს მაშინ ამ განსხვავებების დაძლევა შეეძლოთ. ის, რაც მათ გააკეთეს, დღეს ჩვენც შეგვიძლია გავაკეთოთ.

ამჟამინდელ კორონა-კრიზისის დროს კაცობრიობის უნიკალურობაში დავრწმუნდით. საკმარისია, ერთმა კაცმა არ დაიცვას წესი, რომ მთელ საზოგადოებას ექმნება საფრთხე. ზოგიერთის აზრით, საერთოდ არც კი ღირს ამაზე ლაპარაკი, რადგან არ გაუგია, რომ მის გარშემო ვინმე დაავადებულიყოს კორონათი. მე ერთ-ერთ იმ რეგიონში ვცხოვრობ, რომელიც ყველაზე მეტად დაზარალდა, და ვიცი, რასაც ვამბობ. თუ ერთი რომელიმე ადამიანი არ დაიცავს წესებს, საფრთხე მთელ საზოგადოებას ექმნება. ეს ქრისტეს სხეულის მშვენიერი მაგალითია. თუ რომელიმე ასო იტანჯება, მთელი სხეულია ცუდად (შევ. 1. კორ. 12, 26).

მოკლედ რომ ვთქვათ: სულიწმიდის მეშვეობით საკუთარი ინტერესების უკან გადაწევა და საერთო კეთილდღეობაში ჩვენი წვლილის შეტანა შეგვიძლია. მოდით, ნებისმიერ პირობებში საკუთარი ინტერესები უკანა პლანზე გადავწიოთ და ხელი შევუწყოთ ერთობის კეთილდღეობას ქრისტეს სხეულზე. სულიწმიდის მეშვეობით საკუთარი ინტერესების უკანა პლანზე გადაწევა და ერთობისათვის მსახურება შეგვიძლია.

ჩემს ქვეყანას მივუბრუნდები. საფრანგეთში ჩვენ მივხვდით, რომ ადამიანები, რომლებსაც არც ისე ვაფასებდით, ძალიან მნიშვნელოვანნი აღმოჩნდნენ საზოგადოებისათვის. ისინი არ სარგებლობდნენ დიდი ავტორიტეტით, არც მაღალკვალიფიციური სამუშაო ჰქონდათ და თან ხელფასიც მცირე.

და ახლა, ამ კრიზისის პირობებში, აღმოვაჩინეთ, რომ მათ გარეშე არაფერი გამოდის. უეცრად სწორედ ეს ადამიანები გახდნენ ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი.

ქრისტეს სხეულს სხვადასხვა ასო გააჩნია. ზოგიერთს გამორჩეული ნიჭი აქვს, ზოგსაც განსაკუთრებული დავალება აკისრია, რომელიც უნდა შეასრულოს. მაშ, ნურასოდეს, ნურასოდეს დავივიწყებთ, რომ ერთი რომელიმე ასო ცალკე აღებული ისევე მნიშვნელოვანია უფლისათვის, როგორც მეორე. მართალია, ნიჭები და დავალებები განსხვავებულია, მაგრამ ყველა ასო ერთნაირად ღირებულია ღვთისათვის, უფალ იესოსათვის და ჩვენთვისაც ასე უნდა იყოს. ეს, რაც მეორე დავალებას შეეხება. მაშ, შეკრიბეთ ხალხი, დაძლიეთ განსხვავებები, დაძლიეთ საკუთარი ინტერესები, რომ საერთო კეთილდღეობას ემსახუროთ, და ყველა წევრს ერთნაირი პატივისცემით მოექცეთ.

სულიწმიდის მესამე დავალება ცვლილებაში მდგომარეობს. ჩვენ ვიცით და დავრწმუნდით კიდეც, რომ სულიწმიდა არ ცვლის სიტუაციებს. ის ძლიერია, მაგრამ სიტუაციის ცვლილებას არ ახდენს. თუმცა ის ჩვენ გვცვლის. უფრო მეტად გვანმტკიცებს და უფრო მეტ ძალას გვაძლევს. გვეხმარება, რომ ჩვენში არსებული ახალი ქმნილება განვავითაროთ, რათა შექმნილ სიტუაციას გავუმკლავდეთ. მოდით, მივცეთ სულიწმიდას ჩვენი შეცვლის უფლება, რათა მზად ვიყოთ ნებისმიერი სიტუაციისათვის. მინდა გითხრათ, რომ ზოგიერთებს იმ ცვლილებებისა სჯერათ, რომლებიც მომავალში მოხდება. მალე ყველა ჩვენთაგანისათვის დადგება ცვლილება: კვლავ შევძლებთ, წავიდეთ ეკლესიაში და ღვთისმსახურება ვიზეიმოთ. როგორები დავბრუნდებით ეკლესიებში? განა ყველაფერი ისევ ისე უნდა დარჩეს, როგორც მანამდე იყო? ჩვენ იმის უნიკალური შანსი გვეძლევა, რომ რაღაც შევცვალოთ. მოდით, ახლავე მივიღოთ ასეთი გადაწყვეტილება: როცა ჩემს თემში ისევ მივალ, მინდა, რომ სხვანაირი ვიყო. მინდა რაღაცეები გამოვასწორო. მოდით, მივიღოთ ეს გადაწყვეტილება და შევასრულოთ.

და ცვლილებასთან დაკავშირებული ბოლო პუნქტი: ვიცი, რომ ამ პერიოდში ბევრი ინტერნეტით ადევნებდა თვალს ღვთისმსახურებას. იმედია, რომ ყველა მიხვდება, თუ როგორ შეიცვალა ეკლესია. ახლა იესო ქრისტე გაცილებით უფრო მეტად არის ყურადღების ცენტრში მოქცეული, ვიდრე ოდესმე ყოფილა. გთხოვთ, მიჰყევით სულიწმიდის შთაგონებას, და თუ შესაძლებლობა გექნებათ, მოდით ღვთისმსახურებაზე და ჩვენთან ერთად იყავით. ჩვენი სურვილია, რომ ყველამ, მათ შორის იმათაც, ვინც არ არის ახალსამოციქულო რწმენის მიმდევარი, სრული მენიუ მიიღოს. ამინ.

ძირითადი აზრები

ქრისტე ეკლესიაში სულიწმიდის მეშვეობით მოქმედებს.

სულიწმიდა გვაძლევს იმის უნარს, რომ ვემსახუროთ ქრისტეს და გვიყვარდეს მოყვასი.

ეკლესიის ერთობა სამერთი ღმერთის ერთობას ასახავს.

არც ნიშანი და არც სასჯელი

ვილოცოთ ტანჯულთათვის, დამხმარეებს მადლობა გადავუხადოთ და მივენდოთ ღმერთს - ამისკენ მოუწოდებს პირველმოციქული კორონა-კრიზისის დროს. და თან ხაზგასმით აღნიშნავს, რომ არსებულ პანდემიასთან დაკავშირებით არანაირი ახსნა-განმარტების მოსმენა არ სურს.

წავიკითხე, რომ მილიონობით ადამიანი უკვე დაინფიცირებულია, ასიათასობით კი - გარდაცვლილი. თუმცა პანდემია ისევ გრძელდება, რაც უამრავ გაჭირვებასა და ტანჯვას იწვევს. აქ საქმე ჯანმრთელობას, სიცოცხლეს ეხება. დღევანდელი თვალსაზრისით, ეკონომიკური შედეგების სწორად შეფასებაც შეუძლებელი ხდება.

რა თქმა უნდა, ისიც კარგად ვიცი, რომ ბევრი ადამიანისათვის აფრიკაში, ვენესუელაში, აზიაში კორონა-კრიზისი თავსდატეხილ ტანჯვათა ძალიან გრძელ სიაში მხოლოდ ერთი ხაზია. მარტო ერთ მაგალითს მოვიყვან: აფრიკელმა ძმებმა შემატყობინეს, რომ ამ წელს აფრიკაში 140 000 ბავშვი გარდაიცვალა წითელათი.

რას ვამბობთ ამაზე? როგორ ვრეაგირებთ?

ჯერ ერთი, მთელი გულით თანავუგრძნობთ დაზარალებულებს. ჩვენ ყველა გაჭირვებულისთვის ვლოცულობთ. ჩვენ, ახალსამოციქულო ქრისტიანები, მკაცრად ვიცავთ სამთავრობო განკარგულებებს. და ისიც ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სამაგალითონი ვიყოთ ამაში. ჩვენ მადლობლები ვართ და ვლოცულობთ იმ მრავალი ადამიანისათვის, რომლებიც თავს არ ზოგავენ სხვათა დასახმარებლად.

ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, კიდევ ერთხელ გავუსვა ხაზი იმას, რომ კორონა-კრიზისი არ მიგვაჩნია დროის იმ ნიშნად, რომელიც სამყაროს აღსასრულს ან იესო ქრისტეს მოსვლას წინასწარმეტყველებს. ბიბლიაში არაფერია ნათქვამი კორონაზე! იესო ქრისტეს მეორედ მოსვლის ჩვენი რწმენა ნიშნებს კი არ ეფუძნება, არამედ იესო ქრისტეს სიტყვებს და სულიწმიდის საქმეებს.

არიან ადამიანები, რომლებიც ფიქრობენ, რომ კორონა-კრიზისი ღვთისგან მოვლენილი სასჯელია ადამიანებისათვის. ამგვარი აზრი სულიწმიდისგან არ მოდის. სულიწმიდა ღმერთზე ისე ლაპარაკობს, როგორც სიყვარულის ღმერთზე, და არა როგორც ღმერთზე, რომელსაც ადამიანების დასჯა სურს.

კიდევ ერთხელ: ბიბლიაში არაფერია ნათქვამი კორონაზე! ბიბლია და სულიწმიდა გვეუბნებიან, თუ როგორ უნდა მოვიქცეთ ამგვარ სიტუაციაში: მივენდოთ ღმერთს და ერთგულად მივსდიოთ იესო ქრისტეს.

ფოტო: მარსელ ფელდე

დავითი მეფედ სცხეს

1. მეფ. 16, 1-13-ის მიხედვით

რვა ძმას შორის დავითი უმრწმესი იყო. იგი მამამისის, იესეს, ცხვრებს მწყემსავდა. ყურადღებით იყო, რომ რომელიმე ცხვარი არ დაკარგულიყო, და როცა ფარას ნადირი მოუახლოვდებოდა, აგდებდა მას.

ერთ დღესაც ღმერთმა წინასწარმეტყველი სამუელი ბეთლემში მიავლინა. უთხრა მას: „წადი იესესთან. ერთ-ერთი მისი ძეთაგანი ისრაელის მეფე უნდა გახდეს. წაიყვანე ხბო და იესესა და მის ვაჟებთან ერთად მსხვერპლად შესწირე. მერე კი გიჩვენებ, თუ რომელი მათგანი უნდა სცხო მეფედ.“ სამუელი ისე მოიქცა, როგორც ღმერთმა უთხრა. ბეთლემში ჩასულმა იესესა და მის ვაჟებთან ერთად ხბო აღავლინა მსხვერპლად. დაინახა რა სამუელმა ელიაბი, გაიფიქრა:

ნამდვილად ეს იქნება ახალი
მეფეო. ელიაბი ტანმაღალი
და ძლიერი იყო.
მაგრამ ღმერთმა უთხრა, რომ
ის არ იქნებოდა ახალი მეფე.
იესე ერთიმეორის
მიყოლებით უხმობდა ვაჟებს.
რიგრიგობით წარუდგა
სამუელს იესეს შვიდივე ძე.
ღმერთმა არც ერთ მათგანზე
არ მისცა ნიშანი.
„სულ ეს არიან შენი
შვილები?“, იკითხა
სამუელმა.

„კიდევ ერთი ვაჟი მყავს“,
უპასუხა იესემ, „ყველაზე
უმცროსი. ის ახლა ველზეა
და ცხვრებს მწყემსავს.“
„მოაყვანინე“, მოსთხოვა
სამუელმა.
და როცა დავითი მოვიდა,
ღმერთმა უთხრა სამუელს:
„ეს არის. სცხე მეფედ.“
ამდენად, უმრწმესი ძმა,
მწყემსი, გახდა მეფე,
ვინაიდან ღმერთმა ამოირჩია
იგი.
ღვთის სული გადმოვიდა
დავითზე და წარმართავდა
მას.

წყარო: საბავშვო ჟურნალი, გამოცემა 03/2020; ილუსტრაციები: მირელა ფორტუნატი

სტუმრად სუკსესთან ნიორ-გბანვეაში (ლიბერია)

ეს მე ვარ ჩემს მეგობრებთან ერთად. ჩემი დაძმანიც არიან ამ სურათზე. ჩვენს უკან ბიძაჩემი დგას, ის სახლშიც მამეცადინებს ხოლმე სკოლის შემდეგ.

ჩემი სახელია სუკსესი, ვარ რვა წლის. ვცხოვრობ ნიორ-გბანვეაში, ნიმბას რეგიონის ერთ-ერთ სოფელში. ქვეყანას, რომელშიც ვცხოვრობ, ლიბერია ჰქვია. ბევრ თქვენთაგანს ალბათ არც კი გაუგონია ჩემი ქვეყნის შესახებ. ლიბერია დასავლეთ აფრიკაში მდებარეობს. 1820 წელს აქ ამერიკიდან ჩამოსული გათავისუფლებული მონები დასახლდნენ, რასაც სახელწოდება „ლიბერიაც“ გვახსენებს (ლათინურად: „თავისუფალი“).

ეს მამაჩემი აბრაამია (37 წლის), ეს კი დედაჩემი ჯენეტაა (28 წლის), ესენი ჩემი ძმა დეაზე (11 წლის) და ჩემი უმცროსი დაა. ჩემსავით მასაც სუკსესი ჰქვია. ჩვენს ოჯახურ ფოტოზე შუაში მე ვდგავარ.

აქ ხედავთ, თუ როგორ ვჭამ ბრინჯს პალმის კარაქით, ეს ჩემი საყვარელი საჭმელია. ბრინჯი ლიბერიაში ჩვენი ძირითადი საკვებია. გარდა ამისა, აქ, ნიმბაში, ჭამენ აგრეთვე გლიგ-ბარს, ზოგადად ცნობილია როგორც GB. მას მანიოკისგან ამზადებენ.



ძალიან მიყვარს ჩემი შინაური ცხოველები. მყავს ძაღლი, რომელსაც ჰქვია ფრისკი, კატა და თხა.

ეს ჩემი სახლია, სადაც ჩემს ოჯახთან ერთად ვცხოვრობ. გვაქვს სამი ოთახი. შეშის მოსატანად, რომელიც საჭმელის მოსამზადებლად გვჭირდება, ხშირად შვიდ კილომეტრს გავდივართ ფეხით. ბებია მოგვყვება ხოლმე, რადგან ჩვენი მშობლები მუდმივად დაკავებულნი არიან, ისინი მინდორში მუშაობენ.

ეს ჩემი სკოლაა. მე საჯარო სკოლაში დავდივარ, რომელიც დაახ. სამი კილომეტრით არის მოშორებული ჩვენი სოფლიდან. იქ მამაჩემს მივყავარ ყოველ დილით. მეორე კლასში ვარ. ჩემს მასწავლებელს ქალბატონი რივზი ჰქვია, ის ძალიან მეგობრულია.

ჩვენს თემს გბანვეა ჰქვია. ჩვენ არ გვაქვს ეკლესიის შენობა. ღვთისმსახურებები ჩვენი მღვდლის ვერანდაზე ტარდება. უკვე მიპოვეთ?

კვირაობით საკვირაო სკოლაში დავდივათ. ჩვენს მასწავლებელ ლუსიას ძალიან ვუყვარვართ და ჩვენი კარგი მეგობარია. თვეში ერთხელ ჩვენ, საკვირაო სკოლის მოსწავლეები, ღვთისმსახურების შემდეგ სცენებს ვდგამთ ხოლმე. აქ წარმოვადგენთ იმ სიტორიას, თუ როგორ დაბანა იესომ თავის მოწაფეებს ფეხები.

გასულ ოქტომბერს პირველმოციქული გვესტუმრა მონროვიაში, ლიბერიის დედაქალაქში. მის ღვთისმსახურებაზე დასასწრებად მე და ჩემმა მშობლებმა ჩვენი რეგიონის ბევრ სხვა ერთმორწმუნე და-ძმასთან ერთად დიდი გზა გავიარეთ, 400 კმ-ზე მეტი. ეს იყო ჩვენი პირველმოციქულის პირველი ვიზიტი ჩვენს ქვეყანაში, რაც დიდი კურთხევა იყო ჩვენთვის.

წყარო: საბავშვო ჟურნალი, გამოცემა 03/2020; ფოტოები: პირადი, Massaget, Nadezda Grapes - stock.adobe.com

ღვთიური მოწოდება და სასულიერო თანამდებობის ბრძნული მართვა

„ღმერთი სასულიერო მსახურებისკენ მოგვიწოდებს - ეს დღემდე რჩება ჩვენი რწმენის მრწამსად“, განაცხადა პირველმოციქულმა ჟან-ლუკ შნაიდერმა. თავის დამრიგებლურ წერილში ის ლოცვის შეწყნარებებზე და ღვთიური შემწეობის განცდაზე მიუთითებს. ის იმასაც ხსნის, თუ როგორ უნდა მოვიქცეთ, როცა თვითდაჯერება გვაკლია და მოტივაციასთან დაკავშირებით სირთულეები გვაქვს.

ფოტო: ოლივერ როტენი

პირველმოციქულის ერთ-ერთ ამოცანას ძმების გამხნევება და განმტკიცება წარმოადგენს. და ვინ არიან ჩემი ძმები? ჩემი ძმები, პირველ რიგში, ჩემი უახლოესი თანამშრომლები არიან, კერძოდ, სამხ. მოციქულები და მათი თანაშემწეები. მთელი გულით მინდა, რომ ნამდვილი საყრდენი ვიყო მათთვის. ჩემი ძმაა აგრეთვე ყველა მოციქული და ყველა დანარჩენი მღვდელმსახური. მათი განმტკიცება ღვთიური მოწოდების უკეთ გაცნობიერებითაც ხდება, რაც გამუდმებით მიმდინარეობს. მოწოდებისადმი ეს რწმენა ეყრდნობა

- პირველ სარწმუნოებრივ დებულებას, რომელიც ყოვლისმპყრობელი ღმერთის მიმართ ჩვენს რწმენას გამოხატავს;
- მეოთხე და მეხუთე სარწმუნოებრივ დებულებებს, სადაც ნათქვამია, რომ იესო მართავს თავის ეკლესიას და, რომ ღმერთი ირჩევს იმათ, რომლებიც სასულიერო მსახურების შესრულებისკენ არიან მოწოდებულნი.

რჩეულება იმის გამო, რომ სხვა გამოსავალი არ არის

ხდება ისეც, რომ იქ, სადაც მორწმუნეთა რიცხვი კლებულობს, არჩეული ძმა ფიქრობს, რომ ის ალტერნატივის არქონის გამო აირჩიეს, ვინაიდან ერთადერთი იყო, ვისთვისაც დავალების მიცემა შეეძლოთ. ადამიანური თვალსაზრისით, ეს აზრი გამართლებულიც შეიძლება მოგვეჩვენოს, თუმცა ღვთისმოშიშება სხვა რამეს გვასწავლის: „ყოველივე, რაც სურდა, მოიმოქმედა უფალმა, ცაში და ქვეყანაზე“ (ფსალმ. 134, 6). ღმერთი მარადი და ყოვლისშემძლეა: მის თვალში წარსული, აწმყო და მომავალი ერთდროულად აწმყოშია. ჩვენ გვჯერა, რომ ღმერთმა ისინი ამოირჩია, რომლებიც მისი მსახურებისკენ არიან მოწოდებულნი. მან ისე წარმართა გზები, რომ ეს ხალხი სწორედ იქ და იმ დროს აღმოჩნდა, სადაც და როდისაც მას ისინი სჭირდებოდა. ზოგიერთ ძმას ეჭვი ეპარება მის მოწოდებაში, ვინაიდან დარწმუნებულია, რომ ის ვერ (ან ვეღარ) აკმაყოფილებს მისი სასულიერო თანამდებობის მოთხოვნების პროფილს და სამოქმედო სფეროს.

მიზანშეწონილი იქნება, თუ სასულიერო და მოძღვრებითი თვალსაზრისით მღვდელმსახურები კომპეტენტურნი იქნებიან, მე კი ყველა ინიციატივას წავახალისებ, რომელიც ამ მიმართულებით იქნება წამოყენებული. თუმცა არ შეიძლება, რომ მღვდელმსახურებს დანაშაულის გრძნობა გავუღვიძოთ. მაგ., სრულიად შეუსაბამო იქნებოდა იმის მტკიცება, რომ ღვთისმსახურებებზე დამსწრეთა რიცხვის კლება ძმების არაკომპეტენტურების ბრალია. ამგვარი მტკიცება

ღმერთის ყოვლისშემძლეობის დაკნინება იქნებოდა, ვინაიდან წარსულში ხშირად ყოფილა ისე, რომ ღმერთს არსრულყოფილი ადამიანების მეშვეობით დიდი საქმეები უკეთებია. და კიდევ, ამგვარი მტკიცება ძმებისათვის უსამართლო და გულსატკენი იქნებოდა, რადგან, ბოლოს და ბოლოს, ისინი თანამდებობისთვის ხომ არ იბრძოდნენ, არამედ უბრალოდ ღმერთის მოწოდებას მიჰყვნენ. ახლა უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, მღვდელმსახურებმა სამხ. მოციქულებისგან დაფასება, გამხნევება და სიყვარული უნდა იგრძნონ.

მოწოდებულნი და არა სამსახურში აყვანილნი

ქვეყნებში, სადაც ღვთის საქმე ჯერ კიდევ „ახალგაზრდაა“, ხდება ისეც, რომ ზოგიერთი ძმა თავიდან ხელმძღვანელობის მიერ „დასაქმებულ“ თანამშრომლად აღიქვამს თავს და არა როგორც იესო ქრისტეს მიერ მოწოდებულ მსახურად. მთელი გულით ვთხოვ ადგილობრივ მოციქულებს, რომ თავიანთი სწავლებითა და ცხოვრების წესით გააკეთონ ყოველივე აუცილებელი იმისათვის, რომ ძმების ორდინაციას საფუძვლად ედოს ღვთიური მოწოდება და სწორედ ღვთიური მოწოდებით განისაზღვროს მათი საქმიანობა.

ღვთიური მოწოდებისადმი რწმენა არ გვაძლევს იმის დასკვნის საშუალებას, რომ მარტო ღმერთია მოქმედი. სამერთი ღმერთი ირჩევს ძმას, სულიწმიდა კი ამ არჩევანს ეკლესიას ამცნობს. ამ დროს ძმების კანდიდატურას ადგილობრივი მღვდელმსახურები წარადგენენ, მათი დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილებას კი მოციქული იღებს. ამიტომაც აუცილებელია, რომ ეს სასულიერო ძმები სულიწმიდას შეევედრონ და განიწმიდონ, ვიდრე რომელიმე ძმას სასულიერო თანამდებობის მიღებისკენ მოუწოდებენ.

ტრადიციულად ეჭვის თვალით ვუყურებთ იმ ძმას, რომელიც სასულიერო თანამდებობის დაკავების სურვილს გამოთქვამს. ამგვარი რეაქცია გასაგებია, რამდენადაც სასულიერო თანამდებობა საკუთარი თავის წარმოჩინების საშუალება არ არის. მაგრამ ასეთი ძმების უბრალოდ თავიდან მოშორება სწორი არ იქნებოდა. აჯობებდა, რომ მათი უკეთ გაცნობა გვეცადა. თუ ისინი გულწრფელები იქნებიან, მაშინ უგუნურება იქნებოდა, რომ უარი გვეთქვა მათ მიერ შემოთავაზებულ დახმარებაზე!

ერთად, მარტო არა

არიან ძმები, რომლებიც მოტივაციას კარგავენ, როცა სასულიერო მსახურების შესრულებისას სირთულეებს აწყდებიან. მოდით, გავამხნევოთ ისინი და გავახსენოთ, რომ იესო ქრისტემ მისი ტანჯვისა და სიხარულის გაზიარებისკენ მოგვიწოდა: „საყვარელნო, ნუ გაგაოცებთ თქვენზე მოვლენილი ცეცხლოვანი განსაცდელი, თითქოს უცხო რამ დაგმართოდეთ. არამედ გიხაროდეთ, როგორც ქრისტეს ტანჯვათა მოზიარეებს, რათა თქვენც იხაროთ და იმხიარულოთ მისი დიდების გამოცხადებისას“ (1. პეტ. 4, 12-13).

ტანჯვას, რომელსაც ვუძლებთ, იესოც უძლებდა. მასავით

- ჩვენც ვაწყდებით სირთულეებს ყოველდღიურად; ღვთისათვის ჩვენი თავდადება არ გვიცავს ამისგან (მათ. 8, 20);
- არც ჩვენ გვიღებენ ყოველთვის ან საერთოდ არ გვაფასებენ (მარკ. 3, 21);
- ჩვენც გვიწევს უმადურობასთან დაპირისპირება (ლუკ. 17, 17);
- ზოგჯერ გაუგებრობასაც ვაწყდებით (მათ. 16, 8);
- ჩვენც ვმარცხდებით;
- ჩვენც განვიცდით, როცა ღვთისშვილებში ერთიანობა არ არის;
- ხანდახან ჩვენც სულ მარტო ვართ ...

თუმცა იგივე სიხარულსაც განვიცდით, როგორსაც იესო განიცდიდა:

- შეწყნარებული ლოცვების გამო;
- ღვთიური შემწეობის გამო, მაგ., საკურთხევლიდან;
- ღმერთთან თანაზიარების გამო ლოცვაში;
- ძმური თანაზიარების გამო.

თუ გვსურს, რომ იესოსთან ერთად და იესოსათვის დავიტანჯოთ, მაშინ მისი დახმარების იმედად ყოფნაც შეგვიძლია. ძმა, რომელსაც სწამს მისი მოწოდებისა და ღმერთს არის მინდობილი, არ მოინდომებს, რომ თავისი სასულიერო თანამდებობის ტვირთი მის გარშემომყოფებს აჰკიდოს. პირიქით, არ უნდა მოგვერიდოს, რომ ჩვენს მიერ განცდილი სიხარული ჩვენს საყვარელ ადამიანებსაც გავუზიაროთ. ჩვენი სურვილია, რომ მათაც გაიზიარონ ის დამოუკიდებლობა და ღვთისადმი ნდობა, რომლებსაც სასულიერო მსახურების აღსრულებისას ჩვენ განვიცდით.

სატიტულო ფურცელი
გამომცემელი: ჟან-ლუკ შნაიდერი, იუბერლანდშტრასე 243, 8051 ციურიხი / შვეიცარია
შპს ფრიდრიხ ბიშოფის გამომცემლობა, ფრანკფურტერშტრასე 233, 63263 ნოი-იზენბურგი / გერმანია
რედაქტორი: პეტერ იოჰანინგი

ეკლესია, სადაც ადამიანები კარგად გრძნობენ თავს

ეკლესიის პროგრამას იესო ქრისტეს სახარებისამებრ ცხოვრება და მისი მეორედ მოსვლისა და საუკუნო სიცოცხლისათვის მზადყოფნა წარმოადგენს, განაცხადა პირველმოციქულმა შნაიდერმა. ამას კი ისევ და ისევ ეკლესიის ყოველდღიური ცხოვრების ცვლილებამდე მივყავართ. თავის დამრიგებლურ წერილში საერთაშორისო ეკლესიის ხელმძღვანელი განვლილ წლებს მიმოიხილავს და მივიწყებულ ამოცანაზე ამახვილებს ყურადღებას. .

პირველმოციქულად ჩემი ორდინაციის დროს ვთქვი, რომ ჩემი პროგრამა ჩვენი ეკლესიის ხედვაში იქნებოდა შეჯამებული: ჩვენი სურვილია, „ვიყოთ ისეთი ეკლესია, სადაც ადამიანები კარგად იგრძნობენ თავს და სულიწმიდითა და ღვთიური სიყვარულით აღვსილები თავიანთ ცხოვრებას იესო ქრისტეს სახარებისამებრ წარმართავენ და ასე მოემზადებიან მისი მეორედ მოსვლისა და საუკუნო სიცოცხლისათვის.“ სწორედ ამ აზრების გაღრმავება მინდა ქვემოთ:

უპ. ყოვლისა, მინდა კიდევ ერთხელ მივაგო პატივი ჩემს წინამორბედებს, რომლებმაც შესანიშნავი სამუშაო ჩაატარეს. სულით წარმართულმა ამ პირველმოციქულებმა უფრო გაგვიღრმავეს შემეცნება და ეკლესიას იმ ამოცანის უკეთ შესრულების შესაძლებლობა მისცეს, რომელიც უფალმა დაავალა მას.

ჩემი მიზანი წარსულის კრიტიკა კი არ არის, არამედ განვლილი გზის ჩვენებაა. იყო დრო, როცა ამბობდნენ, რომ უფალი მაშინვე მოვა, როგორც კი „ბოლო სული“ აღიბეჭდება სულიწმიდითო. მზადყოფნა სულიწმიდით აღბეჭდვას, ერთგულების შენარჩუნებას და ამქვეყნის ძლევას ნიშნავდა. ამასთანავე, ერთგულება პრინციპში ყველა ღვთისმსახურებებზე დასწრებაში და მსხვერპლის შეწირვაში მდგომარეობდა. მაშინ ცნებაში „ქვეყანა“ მოიაზრებოდა ყველაფერი, რაც ეკლესიის მიღმა ხდებოდა. ქვეყნის ძლევა იგივე იყო, რაც „გარე სამყაროსგან“ ჩამოშორება. მაშასადამე, ეკლესიის ამოცანა ზოგადად და განსაკუთრებით მოციქულთათვის მდგომარეობდა იმაში, რომ სულიწმიდით აღებეჭდათ ადამიანები და მორწმუნენი „ქვეყნის“ გავლენისგან დაეცვათ. ღვთისმსახურების მიზანს, პირველ რიგში, დამოძღვრა წარმოადგენდა; ეს განაპირობებდა ქადაგებისა და სასულიერო თანამდებობისათვის ასეთი მნიშვნელობის მინიჭებას. ამ ფონზე წმიდა ზიარება რაღაცნაირად უკანა პლანზე იწევდა ...

მაუწყებელი თემი

დღეს ჩვენ სასძლოს მომზადების განსხვავებულ შეხედულებას წარმოგიდგენთ. ჩვენი მიზანია, ვიბრძოლოთ ცოდვისა და „ძველი ადამის“ წინააღმდეგ, ორიენტირებულნი ვიყოთ სახარებაზე და დავემსგავსოთ იესოს. ამრიგად, ქრისტეს სიყვარული სრულყოფილების საზომი ხდება. ეკლესიის მისია, როგორც მას დღეს განსაზღვრავენ, ამ განივითარებას ასახავს. პირველ რიგში, ლაპარაკია იმაზე, რომ მივიდეთ ყველა ადამიანთან, რამეთუ ვასწავლოთ მათ იესო ქრისტეს სახარება და მივანიჭოთ საიდუმლონი. ეკლესიამ მორწმუნეებს ღვთიური სიყვარული უნდა განაცდევინოს, ასევე გულითადი თანაზიარება და ღვთისა და მოყვასისათვის მსახურების სიხარული. ჩვენი ლიტურგიაც ითვალისწინებს ამ საკითხებს: წმიდა ზიარების წინწამოწევით მორწმუნეთათვის იმის შესაძლებლობა გვინდოდა მიგვეცა, რომ უფრო ღრმად განიცდონ ქრისტესთან და ერთმანეთთან ზიარება.

მაგრამ ამით ჯერ კიდევ არ დაგვიმთავრებია მცდელობა იმისა, რომ ეკლესია მისი მისიის შესატყვისი გახდეს; კატეხიზმო ეკლესიის ორ ასპექტს წარმოგვიდგენს:

- ჯერ ერთი, როგორც ღვთიურ „ინსტიტუციას“, რომლის ამოცანაც იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანებისათვის ხსნის მისაწვდომობა გახადოს შესაძლებელი; ;
- მეორეც, როგორც თემს, რომელმაც თაყვანი უნდა სცეს ღმერთს, აქოს და ადიდოს იგი.

ჩვენი ტრადიციებიდან გამომდინარე, უპ. ყოვლისა, პირველ პუნქტს მივანიჭეთ უფრო მეტი მნიშვნელობა და ეკლესიას, როგორც

„ხსნის ინსტიტუციას“, ისე შევხედეთ. ამ ფონზე ყოველთვის, და სამართლიანად, ხაზს ვუსვამდით მოციქულობისა და მოციქულის სასულიერო თანამდებობის დიდ მნიშვნელობას. .

ღმერთის მადიდებელი და თაყვანისმცემელი თემი

რაც შეეხება მეორე პუნქტს, კერძოდ, შევხედოთ ეკლესიას როგორც ღვთის მადიდებელ და თაყვანისმცემელ თემს, აქ შეგვიძლია და უნდა გვქონდეს კიდეც წინსვლა. ზოგადად რომ შევხედოთ, ალბათ ჯერ კიდევ საკმარისად არ გვაქვს განვითარებული ეკლესიის - როგორც „ქრისტეს სხეულის“ ან „ღვთის ხალხის“ - ერთობის საზომები. როგორც ასეთი, მთელი ეკლესია ღვთის მსახურებისკენ არის მოწოდებული. ყველა, ვინც წყლისა და სულისგან ხელახლა იშვა, მოწოდებულია, მოციქულებთან ერთად სიტყვითა და საქმით ცოცხლად იმოწმოს სახარებაზე და ასე შეუწყოს ხელი მოციქულებს (კატ. 7. 1). ღმერთის თაყვანისცემას და სახარებაზე ცოცხალ მოწმობას ხელდასხმული მღვდელმსახური არ სჭირდება. აქ ცნება „სასულიერო თანამდებობა“ ცნება „მსახურების“ სასარგებლოდ თავის მნიშვნელობას კარგავს.

სწორედ ერთობის ამ საზომს ეყრდნობა ახალსამოციქულო ეკლესიის ჩვენეული ხედვა, სადაც ნათქვამია, რომ სულიწმიდითა და ღვთისადმი სიყვარულით აღვსილი ადამიანები იესოს მეორედ მოსვლისათვის უნდა მოემზადონ და ცხოვრება სახარებისამებრ წარმართონ.

აქედან ჩანს, რომ ქრისტეს სასძლოს მომზადებაში ჭეშმარიტი სიყვარული მნიშვნელოვან როლს ასრულებს. სიყვარული კი საქმეების გარეშე წარმოუდგენელია. იმისათვის, რომ მორწმუნეებმა უფლის მეორედ მოსვლისათვის მომზადება შეძლონ, ეკლესიამ მათ სიყვარულის საქმეების კეთების საშუალება უნდა მისცეს. მორწმუნეებს იმის შესაძლებლობა უნდა მივცეთ, რომ ღმერთისა და ადამიანების მსახურებით სიხარული განიცადონ. მოყვასის სიყვარული არის მსახურება, რომელიც აკისრია ქრისტეს ეკლესიას, როგორც მორწმუნეთა ერთობას. ქრისტეს ეკლესიის ეს მისია ყოველთვის უნდა გვახსოვდეს.

მომსახურე თემი

ღმერთისა და მოყვასის მსახურება, უპ, ყოვლისა, ეკლესიაში აქტიურობას ნიშნავს. ამ სფეროში ბევრი ინიციატივა მიზანს ვერ აღწევს, და მხოლოდ იმიტომ, რომ მოთხოვნები ჩვენი მღვდელმსახურების მიმართ გონივრულ ფარგლებს სცილდება. ნუთუ მართლა არსებობს იმის მოლოდინი, რომ ჩვენი ხელდასხმული ძმები ყველაფერზე იზრუნებენ? მოყვასის სიყვარულის პრაქტიკულ განხორციელებას სასულიერო თანამდებობა არ სჭირდება. ბევრი რამის გაკეთება სასულიერო იერარქიის ჩართვის გარეშეც შესაძლებელია.

მოყვასის სიყვარული ეკლესიის კართან არ მთავრდება. როგორი შედეგები აქვს მოყვასის ჩვენეულ სიყვარულს ეკლესიის მიღმა? სახარების პრაქტიკაში დანერგვა ღარიბებისა და ტანჯულებისათვის დახმარების გაწევასაც ნიშნავს. ყოველთვის დამაჯერებელნი ვართ ამ დროს? ჰუმანიტარული აქციების დაფინანსება კარგია და გამართლებული, მაგრამ, რა თქმა უნდა, საკმარისი არ არის. არავითარ შემთხვევაში არ ვაპირებ, მივბაძო სხვა ქრისტიანულ ეკლესიებს: ამისათვის არც საჭირო გამოცდილება გვაქვს და არც სახსრები. არც იმაზეა საუბარი, რომ კონკურენცია გავუწიოთ მათ, და კიდევ უფრო ნაკლებ იმაზე, რომ წინა პლანზე გადმოვიწიოთ. მხოლოდ იმას ვეკითხები საკუთარ თავს, თუ რას მოელის უფალი ჩვენგან? და ეს საკითხი მომავალ მსჯელობებში უნდა ჩავრთოთ, იქნება ეს სასულიერო თანამდებობის თუ მსახურების გაგება თუ აქტიობების ორგანიზება ჩვენს ეკლესიაში. ჩემი მხრიდან მე აქ სხვა ქრისტიანებთან დაახლოების შესაძლებლობას ვხედავ. სხვა ეკლესიებთან თეოლოგიურ საკითხებზე მსჯელობა, რა თქმა უნდა, სასარგებლო იქნება; კიდევ უფრო მნიშვნელოვნად მეჩვენება ის, რომ ქრისტიანებმა თავიანთი ძალები გააერთიანონ, რამეთუ სიკეთე აკეთონ ...

დასკვნა:

- ეკლესიის ამოცანას ადამიანებისათვის ხსნის გადაცემა წარმოადგენს. ღვთისმსახურებებზე მოციქულები და მათ მიერ უფლებამოსილი მღვდელმსახურები სიტყვას იუწყებიან და საიდუმლოებს ანიჭებენ. ღვთისმსახურება ეკლესიური ცხოვრების ცენტრია. .
- ეკლესიის ამოცანაა აგრეთვე ღმერთის თაყვანისცემა და მისი ქება-დიდება. ეს ყველა მორწმუნეს ევალება. ღვთისმსახურების დროს თემი ქება-დიდებასა და თაყვანისცემას ღვთისმსახურების ხელმძღვანელთან ერთად წარმოთქმული ლოცვით გამოხატავს. თაყვანისცემა და ქება-დიდება ორდინირებული მღვდელმსახურის მონაწილეობის გარეშეც შეიძლება.
- უფლის მეორედ მოსვლისათვის მოსამზადებლად სასძლო თემმა სიყვარულის საქმეები უნდა აკეთოს. ეკლესიის ამოცანაში შედის აგრეთვე მორწმუნეთათვის იმის შესაძლებლობის მიცემა, რომ ემსახურონ ღმერთსა და მოყვასს. ამის განსახორციელებლად, შეძლებისდაგვარად, საუკეთესო საშუალება უნდა მოვიფიქროთ.

2020 წლის ბავშვთა საერთაშორისო დღისათვის

სჭირდებათ ბავშვებს ბავშვთა დღე? გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ამის მომხრეა და, მართლაც, ეს ქვეყანა არ ეკუთვნის ბავშვებს, თუმცა უნდა ეკუთვნოდეს. დამაფიქრებელი შენიშვნები არსებული ტენდენციის საწინააღმდეგოდ.

ფოტო: ©Pixel-Shot - stock.adobe.com

რაც არ უნდა იყოს, ბავშვთა დაცვის დღე 145 სახელმწიფოს ოფიციალურ კალენდარზეა აღნიშნული. ეს ის თარიღია, რომელმაც ბავშვთა საჭიროებები და უფლებები უნდა შეგვახსენოს. გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ 20 ნოემბერი ჩანიშნა ამ დღის აღსანიშნავად - ეს ის დღეა, როცა გაეროს გენერალურმა ასამბლეამ ბავშვთა უფლებების დაცვის კონვენცია გამოაქვეყნა. „ნუთუ ბავშვებს უფლებები აქვთ?“, კითხულობენ უფროსები. „რა თქმა უნდა, ჩვენც გვაქვს უფლებები“, პასუხობენ პატარები. „და რატომ უნდა გვახსოვდეს ეს?“ – „იმიტომ, რომ არ გვინდა დაივიწყოთ ისინი! გახსოვდეთ, ჯერ კიდევ ყოველ ათ წამში ერთი ბავშვი მაინც კვდება შიმშილით: 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, მკვდარია.“

ბავშვობის უფლება

რა უფლებებია ეს? რამოდენიმე მათგანი საკმაოდ მნიშვნელოვანია: მაგ, ბავშვობის უფლება. მართალია, ბავშვთა შრომა ძირითადად არაკონონიერად არის გამოცხადებული, მაგრამ აღკვეთილი ჯერ კიდევ არ არის. ბავშვთა ხელებს, რომლებიც ძალიან ადრე იწყებენ არსებობისათვის შრომას, ნაკლები დრო რჩებათ უფრო მნიშვნელოვანისათვის, მაგ., თამაშისათვის. არ შეიძლება, რომ მესამე ათასწლეულის ბავშვები რომანტიზირებული წარსულის ანაქრონისტულ სურათებს წარმოადგენდნენ. „ბავშვები მუზეუმში“ - რა საშინელი იდეაა!“ გაეროს ბავშვთა ფონდის შეფასებით ბავშვების ათ პროცენტს ჯერ ისევ უწევენ ექსპლოატაციას და იძულებით ამუშავებენ - სპილენძის მაღაროებში მიწისქვეშ, ტექსტილის ფაბრიკებში, რომლებიც არც კი ჰგვანან ფაბრიკებს, კაკაოს პლანტაციებში. მოზრდილების შრომა უფრო ძვირი ჯდება - კლიენტებს კი იაფი პროდუქციის მიღება ურჩევნიათ მიმწოდებელი ქვეყნებისგან. მოჯადოებული წრეა!

უარის თქმის უფლებაც იდენტურობის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს ცხოვრებაში. ბავშვს, რომელიც ყოველთვის ყველაფერს ეთანხმება, საკუთარი აზრი არ გააჩნია. მხოლოდ მკაფიო „არას“ მეშვეობით ხდება იგი პიროვნება. და არ არის აუცილებელი, რომ ეს „არა“ რამენაირად იყოს დასაბუთებული. „არა არის არა“ და მორჩა.“ მაგრამ, ვისაც ბავშვების აღზრდა ისე სურს, რომ ისინიც მონაწილეობდნენ განხილვებში და გადაწყვეტილებების მიღებაში, ამის საშუალებაც უნდა მისცეს მათ. ბავშვი, რომელსაც უარის თქმის უფლება აქვს, საკუთარ თავს „დიახ“-საც ეტყვის.

რა სჭირდებათ ბავშვებს

ის, რაც ბავშვებს სინამვილეში სჭირდებათ, არის

- მეგობრები, დამრიგებლები, მასწავლებლები,

ფოტო: სუზანე დიტმანი / ბავშვთა დაცვის მისიონერული ორგანიზაცია

რომლებსაც დრო აქვთ მათთვის და უსმენენ;
- დაცული ადგილი, სადაც მშვიდობა და უსაფრთხოებაა გარანტირებული;
- ოცნებები, რომლებიც ოდესმე ახდება. როცა ოცნებები ფრენას ისწავლიან, კარგი იქნება, თუ ჰორიზონტისკენ წავლენ ისინი.

ბავშვებს კეთილგანწყობილი ადამიანები სჭირდებათ, რომლებიც გულუხვები და მოკრძალებულნი არიან, აინტერესებთ მათი სამყარო და გაუთავებლად არ კიცხავენ მათ, რომლებსაც ბავშვის დონეზე დასვლა და მათი თვალებით ყურება შეუძლიათ. მხოლოდ ასე და არა მარტო კანონებითა და ოფიციალური განკარგულებებით იქცევა ბავშვთა უფლებები უფლებებად და არა უბრალოდ მოვალეობად.

ხელებით კურთხევა უნდა ხდებოდეს და არა თავდაცვა

ყურადღება: ზოგიერთ კულტურაში ბავშვთა აზრის გათვალისწინება გამორიცხულია. ეს დღევანდელი ეპოქის ბევრ კულტურასაც ეხება. ყველაფერი თეთრზე შავით წერია, თუმცა სინამდვილე ხშირად სულ სხვანაირია. ქრისტიანული მრწამსისათვის იესო ქრისტემ კონკრეტული საზომი დაადგინა: „მაშინ მიიყვანეს მასთან ბავშვები, რომ ხელი დაედო და ელოცა მათთვის, მოწაფეები კი საყვედურობდნენ მათ. იესომ უთხრა მათ: 'გამოუშვით ბავშვები და ნუ აბრკოლებთ მათ ჩემთან მოსასვლელად, ვინაიდან ამათნაირებისაა ცათა სასუფეველი" (მათ. 19, 13-15). ეს ყველა კულტურას ეხება.

ვიდრე თუნდაც ერთი ბავშვი მაინც იმუშავებს სპილენძის მაღაროში, ჩვენ გვჭირდება ბავშვთა საერთაშორისო დღე. ვიდრე კიდევ არსებობენ უფროსები, რომლებიც ბავშვის პირთ ნათქვამ „არას" უმნიშვნელოდ ან ზედმეტად თვლიან, ჩვენ გვჭირდება ბავშვთა დღე.

ბიბლიიდან

კამათი მოწაფეებში იმის თაობაზე, თუ ვინ იყო უფრო დიდი მათ შორის (მათ. 18, 1-5): „იმ დროს მივიდნენ მოწაფეები იესოსთან და უთხრეს: 'ვინ უფრო დიდია ცათა სასუფეველში?' იესომ დაუძახა ბავშვს, ჩააყენა მათ შუა, და უთხრა: 'ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: თუ არ მოიქცევით და არ იქნებით, როგორც ბავშვები, ვერ შეხვალთ ცათა სასუფეველში. ამრიგად, ვინც თავს დაიმდაბლებს, როგორც ეს ბავშვი, ის იქნება უდიდესი ცათა სასუფეველში. და ვინც მიიღებს ერთ ასეთ ბავშვს ჩემი სახელით, მე მიმიღებს.""

New Apostolic Church
International